

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული  
AGRO  
АГРО  
NEWS

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси  
2016

**ქურნალი წარმოადგენს**  
**იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის**  
**პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**სარედაქციო კოლეგია:**

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

**წევრები:** ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

**სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:**

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of**  
**Imereti Agro-ecological Association and**  
**Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

**EDITORIAL BOARD**

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

**Members:** Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

**FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD**

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет**  
**Периодическое научное издание**  
**Союза агроэкологической ассоциации Имерети и**  
**Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

**Члены:** Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобава Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

**ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



**შინაარსი**

**1 აგარული მეცნიერებანი**  
**AGRICAL SCIENCES**  
**АГРАРНЫЕ НАУКИ**

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,  
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე  
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) \_\_\_\_\_ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’  
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION  
 METHODS \_\_\_\_\_ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემოგებაში ინვესტიციების  
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია  
 \_\_\_\_\_ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს \_\_\_\_\_ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის  
 ანალიზის შედეგები \_\_\_\_\_ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს  
 მღვობარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის  
 პრობლემები \_\_\_\_\_ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა  
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე  
 საძირე ვაზით \_\_\_\_\_ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის  
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა  
 სამებრელოს რეგიონის პირობებში \_\_\_\_\_ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)  
 აღმოსავლეთ საქართველოში \_\_\_\_\_ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,  
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების  
 ხელოვნური დასენიანების შედეგები \_\_\_\_\_ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –  
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ  
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ  
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА \_\_\_\_\_ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფიანების უნარი	72
<b>Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS</b>	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლერობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მქანნიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
<b>Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS</b>	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
<b>Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION</b>	128



**პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი**  
**PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL**  
**ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ**



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩაის 50%-იანი წყლიანი ექსტრაქტის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე \_\_\_\_\_ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში \_\_\_\_\_ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში \_\_\_\_\_ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია \_\_\_\_\_ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში \_\_\_\_\_ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები \_\_\_\_\_ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით \_\_\_\_\_ 157

**2 ბიზნესის ადმინისტრირება**  
**BUSINES ADMINISTRATION**  
**АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА**

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვდომარეობა იმერეთის რეგიონში \_\_\_\_\_ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად \_\_\_\_\_ 169

**3 ინჟინერია**  
**ENGINEERING**  
**ИНЖЕНЕРИЯ**

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში \_\_\_\_\_ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა \_\_\_\_\_ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წანამდგომები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე \_\_\_\_\_ 186



**4** **მომართულეკათეორიის ღარგეპი**  
**MULTIDISCIPLINARY BRANCHES**  
**МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ**

**Изоolda Xасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ**  
**РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ** \_\_\_\_\_ 195

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-**  
**რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში** \_\_\_\_\_ 202

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის**  
**სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში** \_\_\_\_\_ 207



# 2 ბიზნესის ადმინისტრირება BUSINESS ADMINISTRATION АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА





**სასოფლო–სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობა  
 იმერეთის რეგიონში**

**ზეინაზ ახალაძე**

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

**მანანა შალამბერიძე**

აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

*ნაშრომი ეძღვნება იმერეთის სასოფლო–სამეურნეო წარმოების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლას. სოფლის მეურნეობა იმერეთის მხარის ერთ–ერთი მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რომელიც საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ დარგად ჩამოყალიბდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ისევე, როგორც მთლიანად ქვეყანაში, იმერეთის რეგიონშიც მეტად მტკივნეულად განხორციელდა.*

*ჩატარებულმა სამუშაოებმა გვიჩვენეს, რომ იმერეთში სასოფლო–სამეურნეო წარმოების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და ამოქმედებული დარგში არსებული რეზერვები; არ არის დამუშავებული და რეალიზებული ანტიკრიზისული ღონისძიებები და ა.შ. ყოველივე ამის და კიდევ სხვა ღონისძიებების ჩატარება კი უზრუნველყოფს დარგის სტაბილურ განვითარებას.*

სოფლის მეურნეობა იმერეთის მხარის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებულ დარგად ჩამოყალიბდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მეტად მტკივნეულად განხორციელდა.

დანარჩენი საქართველოს მსგავსად იმერეთში სოფლის მეურნეობა ორი მსხვილი მიმართულების ბიზნესად შეიძლება დაიყოს. ერთის მხრივ, არსებობენ სოფლის მეურნეობის მსხვილი კომერციული მწარმოებლები საკმაოდ დიდი ინვესტიციებითა და გარკვეული კომპეტენციით, რომლებიც მთლიანად ორიენტირებული არიან წარმოებული პროდუქციის ბაზრისთვის მიყიდვაზე. მეორეს მხრივ, არსებობენ შედარებით მცირე ფერმერები, რომელთაც, როგორც წესი, ძალიან მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, ნაკლები კომპეტენცია და ცოტა რესურსი აქვთ ინვესტიციების განხორციელებისთვის.

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების მოცულობას და შესაბამისად





მის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა და მათი სტრუქტურა განსაზღვრავს, რომელშიც იგულისხმება სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობების მაღალი ხვედრითი წილი. ამ მიმართებით, როგორც მთლიანად ქვეყნის მაშტაბით, იმერეთშიც არასასურველი მდგომარეობაა. მაგრამ სახნავი მიწების მოცულობა თავისთავად არ წარმოადგენს პროდუქციის წარმოების პირობას თუ ისინი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებად არ იქნა ათვისებული. ამდენად, მნიშვნელოვანია ნათესი ფართობების დინამიკაში შესწავლა.

როგორც ცხრილის (#1) მონაცემებიდან ჩანს, იმერეთის მთლიანი ნათესი ფართობის მოცულობა ცვალებადობას განიცდის, კერძოდ 2012 წელს, წინა წელთან შედარებით მისი სიდიდე გარკვეულად მცირდება, თუმცა 2013 წლიდან იგი განიცდის მატებას და საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს აღწევს, ფაქტიურად ყველაზე მაღალს მთელს ქვეყანაში. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება იმერეთის მთლიანი ნათესი ფართობის პროცენტული თანაფარდობაც.

**ნათესი ფართობების დინამიკა ყველა კატეგორიის მეურნეობებში (ათ. ჰექტარი)**

ცხრილი #1

	2011	2012	2013	2014	2015
იმერეთი	42.9	38.9	46.7	53.5	51.3
საქართველო	262.4	259.6	310.7	316.6	308.4
იმერეთის წილი (%)	16.34	14.98	15.03	16.89	16.63

საკმაოდ ცვალებადია მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების ტენდენციების სურათიც, რიგ წლებში საკმაოდ მკვეთრიც. შემცირების ტენდენცია ახასიათებს მაგალითად სიმინდისა და ლობიოს წარმოებას. ეს ტენდენცია მოულოდნელიც კი არის, თუ გავითვალისწინებთ ამ კულტურების განსაკუთრებულ როლს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში. გამონაკლისს წარმოადგენს 2013 წელი, როდესაც მოსავალი შეიძლება ითქვას, რომ რეკორდულიც კი იყო. დინამიურობით გამოირჩევა ბაღჩეულის წარმოება.

რაც შეეხება ხილის წარმოებას ზოგადად და აგრეთვე კონკრეტულად ყურძენს, იგი მატულობს 2013–2014 წლებში, მაგრამ შემდგომ წლებში გარკვეულად კვლავ მცირდება. ამ პროდუქტის წარმოებაზე დიდ გავლენას ახდენს ბაზრის მოთხოვნის ადეკვატური ხასიათი და სახელმწიფოს არათანმიმდევრული პოლიტიკა



ყურძნის მოსავლის მიმართ. ყოველწლიურად, რთველის დაწყების შემდეგ იწყებენ ფაციფუცს სახელმწიფო სტრუქტურები მოსავლის ბედზე და ფერმერებს კი მოკრე-ფილი პროდუქტი ულპება.

**მემცენარეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების  
 დინამიკა (ათ. ტონა)**

ცხრილი #2

		2011	2012	2013	2014	2015
სიმინდი	იმერეთი	67.3	65.5	99.6	63.7	43.3
	საქართველო	269.6	267.0	363.9	347.2	231.4
	იმერეთის წილი (%)	24.96	24.53	27.37	18.34	18.71
ლობიო	იმერეთი	1.4	1.2	2.4	1.0	0.6
	საქართველო	8.9	9.6	10.5	8.7	5.8
	იმერეთის წილი (%)	15.73	12.5	22.85	11.49	10.34
ბაღჩეული	იმერეთი	10.4	10.6	13.3	14.4	10.7
	საქართველო	42.8	36.7	66.4	85.9	72.6
	იმერეთის წილი (%)	24.29	28.88	20.03	16.76	14.73
ყურძენი	იმერეთი	26.3	36.2	36.6	12.3	30.2
	საქართველო	159.6	144.0	222.8	224.9	267.8
	იმერეთის წილი (%)	16.47	25.1	16.42	5.46	11.27
თხილი	იმერეთი	4.8	3.4	5.6	3.9	4.8
	საქართველო	31.1	24.7	39.7	37.4	36.4
	იმერეთის წილი (%)	15.43	13.76	14.10	10.42	13.18
ხილი	იმერეთი	18.5	21.8	23.9	15.1	19.2
	საქართველო	187.3	157.9	217.6	229.0	146.6
	იმერეთის წილი (%)	9.87	13.80	10.98	6.59	13.09

მეხილეობისა და ხილის წარმოების დაცემის ძირითადი მიზეზი გადამამუშავებელი მრეწველობის, ხილ-ბოსტნეულის საკონსერვო საწარმოების განუვითარებლობაა. სასურსათო ბაზარზე იმერეთის ხილი ქართლისა და კახეთის ხილს ვერ უწევს კონკურენციას. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ეკოლოგიურად სისუფთავისა და დამახასიათებელი გემოვნური თვისებებისა, იმერეთის ხილი საგარეო ბაზრისკენაც არასდროს იყო ორიენტირებული.

იმერეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი არის მეცხოველეობა, რომელიც ბევრად მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე მემცენარეობა. სამართლიანობისათ-



ვის უნდა ითქვას, რომ მათ შორის ზღვარი ყოველთვის მაღალი იყო.  
 პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, ფუტკრის  
 ოჯახების რაოდენობა (ათასი სული)

ცხრილი #3

		2011	2012	2013	2014	2015
მსხვილი რქოსანი პირუტყვი მ.შ. ფური და ფურკამეჩი	იმერეთი	197.9	194.3	208.6	211.6	218.5
	საქართველო	1087.6	1128.8	1229.7	1278.0	1325.5
	იმერეთის წილი (%)	18.19	17.21	16.96	16.55	16.48
ღორი	იმერეთი	20.0	38.8	31.4	31.6	32.2
	საქართველო	105.1	204.3	191.2	204.8	197.7
	იმერეთის წილი (%)	19.02	18.99	16.42	15.42	16.28
თხა	იმერეთი	6.4	6.9	8.0	7.6	7.5
	საქართველო	53.6	54.4	60.8	53.7	49.8
	იმერეთის წილი (%)	11.94	12.68	13.15	14.15	15.06
ფრინველი	იმერეთი	1056.8	1039.5	1214.5	1244.9	1059.1
	საქართველო	6360.2	6159.1	6760.7	7272.6	8805.9
	იმერეთის წილი (%)	16.61	16.85	17.96	17.11	12.02
ფუტკრის ოჯახი	იმერეთი	26.4	15.2	13.9	15.2	16.7
	საქართველო	328.0	347.5	398.6	403.4	421.5
	იმერეთის წილი (%)	8.04	4.37	3.48	3.76	3.96

გასული საუკუნის მოვლენებმა მეცხოველეობის დარგს საქართველოში უდიდესი ზიანი მოუტანა. დაიშალა და განადგურდა მსხვილი, მექანიზირებული სამრეწველო კომპლექსები, სახელმწიფო მეურნეობების ფერმები. მსხვილფეხა პირუტყვის, ღორისა და ცხვრის გარკვეული სულადობა კოლექტივის წევრებს გაუნაწილდა, დანარჩენი პირუტყვი და ფრინველი ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ საკუთარი სურვილისა და ინტერესების მიხედვით გამოიყენა. მთლიანად მოიშალა ჯიშთ-სანაშენო და სასელექციო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ პროცესები ასე განვითარდა, უნდა ითქვას, რომ იმერეთში მეცხოველეობის სულადობა ყველა სახეში პირიქით იზრდებოდა.

მეცხოველეობის ყველა დარგის სწრაფი ტემპებით ზრდა იმერეთში ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლოდან დაიწყო და რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. კერძოდ, რბილი კლიმატით, ბუნებრივი რესურსებით, საოჯახო პირობებში მათი განვითარების ტრადიციებით და ა.შ. მართალია იმერეთი სათიბების ნაკლებ



ბოზას განიცდის, მაგრამ საძოვრების მთელი წლის განმავლობაში გამოყენების შესაძლებლობა ამას გარკვეულ წილად აბალანსებს. ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ბაზრის მოთხოვნამ მეცხოველეობის პროდუქტებზე და მათზე მაღალმა ფასებმა, რეგიონის მოსახლეობის ფულადი შემოსავლების კატასტროფული შემცირების ფონზე. ფაქტიურად, მეცხოველეობა აღმოჩნდა სოფლის მეურნეობის ფულადი შემოსავლების ძირითადი წყარო, სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების მინიმალურად გადაჭრის ერთადერთი საშუალება.

მეტად დადებითი მომენტია მეფუტკრეობის აღორძინებისა და განვითარების ტენდენცია, რადგანაც იმერეთს საამისო რესურსებიც აქვს. იგი ტრადიციული დარგითაა და მაღალეფექტურობითაც გამოირჩევა.

**მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა (ათასი ტონა)**

ცხრილი #4

		2011	2012	2013	2014	2015
ხორცი (დაკლული წონა)	იმერეთი	9.3	8.1	8.6	10.1	10.1
	საქართველო	49.3	42.6	48.4	54.8	62.1
	იმერეთის წილი (%)	18.86	19.01	17.76	18.43	16.24
რძე (მლნ. ლიტრი)	იმერეთი	108.3	111.5	129.7	119.8	133.3
	საქართველო	582.1	589.5	604.7	656.2	676.5
	იმერეთის წილი (%)	18.60	18.91	21.44	18.25	19.70
კვერცხი (მლნ. ცალი)	იმერეთი	36.7	44.3	47.3	59.4	56.2
	საქართველო	483.1	474.0	495.3	549.4	601.2
	იმერეთის წილი (%)	7.59	9.34	9.54	10.81	9.34
თაფლი	იმერეთი	0.3	0.2	0.1	0.1	0.1
	საქართველო	2.7	4.1	3.9	4.1	4.1
	იმერეთის წილი (%)	11.11	4.87	2.56	2.43	2.43

აქ რამდენიმე ძირითად მიზეზია განმსაზღვრელი : 1) იმერეთის სოფლის მოსახლეობის (არა მარტო მათი, მთლიანად მხარის) ძირითადი შემოსავლის წყარო და საარსებო პირობების მინიმალურად დაკმაყოფილების საშუალება არის სოფლის მეურნეობის პროდუქტები; 2) მხარის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ძირითადი მასა მეცხოველეობაში იწარმოება და ეს დარგი მემცენარეობასთან შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ბუნებრივ მოვლენებზე.

ასეთია მიმდინარე ეტაპზე იმერეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეალური სურათი. სამწუხაროდ, იმერეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე არ



არის დამაკმაყოფილებელი. ჯერ კიდევ არ არის სრულად გამოვლენილი და ამოქმედებული დარგში არსებული რეზერვები; არ არის სრულყოფილი საგადასახადო და საფინანსო-საკრედიტო სისტემა; საგანგაშო მდგომარეობაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის მხრივ; არასაკმარისად არის განვითარებული საინვესტიციო გარემო; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციული ფორმები მოითხოვს სრულყოფას; კოოპერაციის მასშტაბები არ არის საკმარისი; არ არის დამუშავებული და რეალიზებული ეფექტური ანტიკრიზისული პროგრამები, რომლებიც კონკრეტული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების, პრიორიტეტული დარგების სტიმულირებისა და წარმოების ხარჯების შემცირების კომპლექსურ ღონისძიებებზე იქნება გათვლილი და ა.შ. ყოველივე ამის და კიდევ სხვა ღონისძიებების ჩატარება კი უზრუნველყოფს დარგის სტაბილურ განვითარებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014–2021
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2016
3. ინტერნეტრესურსები

### AGRICULTURAL PRODUCTION IN THE CURRENT STATE IMERETI

#### **Zeinab Akhaladze**

Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

#### **Manana Shalamberidze**

Academic Doctor, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

#### **Summary**

The paper deals with the study of the present state of Imereti agricultural production. One important part of the process of formation of market relations in a free market-oriented branches formed. However, the planned economy to market economy transition, as well as in the whole country, Imereti region of painfully implemented.

The research showed that the Imereti agricultural production level is not satisfactory. It has not yet been fully identified and put into the field's reserves; Is not processed and implemented anti-crisis measures. All of this and other measures must be taken in the field of sustainable development.

### СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА ИМЕРЕТИНСКОГО РЕГИОНА

#### **Ахаладзе Зейнаб**

Академический доктор, Ассоциированный Профессор, Государственный Университет Акакия Церетели, г. Кутаиси, Грузия

#### **Шаламберидзе Манана**

Академический доктор, Ассоциированный Профессор, Государственный Университет Акакия Церетели, г. Кутаиси, Грузия

#### **Резюме**

Статья посвящена изучению современного состояния сельскохозяйственного производства



**პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი**  
**PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL**  
**ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ**



Имеретинского региона. Сельское хозяйство является одним из наиболее важных отраслей экономики Имеретинского региона, которая в процессе формирования рыночных отношений образовалась, как отрасль ориентированная на свободный рынок. Тем не менее, следует отметить, что процесс перехода с плановой экономики на рыночную экономику происходил весьма болезненно как в целом по стране, так и в Имеретинском регионе.

Исследования показали, что уровень сельскохозяйственного производства Имерети не является удовлетворительным. Еще не полностью определены и введены в действие резервы отрасли; не обрабатываются и не реализуются антикризисные меры и т.д. Проведение всех этих и других мер обеспечат устойчивое развитие отрасли.